ეროვნული ბიბლიოთეკა
F 2/18

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 5 **1883-1891** 15 მარტი.

გაზეთის ფასი:

| «მწყემსი» | | «მწყემსი» რუსული გამოცემით | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 5 მან. | 12 თვით | 6 მან. |
| 6 — | 3 — | 6 — | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით *въ Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დავუბრუნოთ.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## სასულიერო მახარებელი საექსარხოსოჲსა

ჩვენ მივიღეთ ახლად გამოსული ჟურნალი სასულიერო მახარებელი საქართველოს საექსარხოსოისა. ყოველ ახალ გამოცემას დიდის სიხარულით და ალტაცებით მიეგებებიან ხოლმე არსებული გამოცემანი. რასაკვირველია, სასიამოვნოა ახალი ორგანოს დაარსება, თუ ამ ორგანს მიზნად აქვს აღებული მეცნიერების გავრცელება, ხალხის კეთილ დღეობა, გაჭირებულთა შემწეობა, უსამართლოების დევნა და სიმართლის ქადაგება, ფარისევლური და იეზუიტური მრუდე აზრების მხილება და სხვა და სხვა და სხვ... სასიამოვნოა არსებულ გამოცემათათვის, როდესაც ტოლს ამხანაგს, საიმედო მეგობარს და თანამოძმეს დაინახვენ ცხოვრების სარბიელზე გამოსულს. ამისთანა გრძნობა ამ ახალი გამოცემის შესახებ ჩვენში ერთი ორად მეტი არის, რადგან ჩვენ მთელს საქართველოში ერთ მოძმეს, ერთს ამხანაგს ვერ ვხედავდით დღემდის. შენიშნულია, რომ საერო წოდების ჟურნალ-გაზეთები დიდად არ ზრუნვენ სასულიერო საქმეებზე, ხან ნებით და ხან უნებლიეთაც, როდესაც სასულიერო და საეკკლესიო საგნებზედ დაიწყებენ მსჯელობას, შემცდარს აზრს ავრცელებენ. ერთის მხრით, იგინი, ასე ვსთქვათ, მკითხველს გზას უწალდვენ, ხოლო მეორეს მხრით კი სრულებით გზას უბნევენ..

ამისთანა დროში მოძმის შეძენა, რასაკვირვე-ლია, ფრიად სასიამოვნო არის. ჩვენს ფარისევლურ დროში, მართალია, ეჭვის თვალით უყურებენ და სულ სხვა ნაირად ესმისთ გაზეთების მიგებება ახლად გამოსული ორგანოისადმი. მაგრამ ამისთანა ეჭვებს იქ აქვს ნიადაგი, სადაც ორგანოები გატაცებულნი არიან უმთავრესად შემოსავლით და არა სხვა კეთილი იდეიებით და აზრებით. და ამისთანა ეჭვს ჰბადავს მკითხველ საზოგადოებაში ზოგიერთი გაზეთების უმართლოდ და უსაფუძვლოდ გალაშქრება მეორე გაზეთზედ, იმისათვის მხოლოდ, რომ ერთის მოსპობით მეორემ ისარგებლოს. სამწუხაროდ დღეს იმისთანა მწერლებსაც შოობენ, რომელთაც მოსყიდვით როგორც გინდათ, ისე აწერინებთ და აალაპარაკებთ. აქებინებთ არა საქებს და აძაგებინებთ არა საძაგებელს...

მკითხველი საზოგადოება, ჩვენის აზრით, დარწმუნებელი უნდა იყოს, რომ ჩვენი გამოცემა ამისთანა უმგვანო აზრებს და მიზნებს სრულებით განშორებულია. ჩვენ არასოდეს არ გვქონია სახეში ჟურნალ-გაზეთის მეოხებით კეთილ-დღეობა და კეთილი ცხოვრება მოგვეპოებინა. იყო დრო და დღესაც არის, რომ უმაღლესი და უმეტესი შემოსავლიანი ადგილი შეგვეძინა, მაგრამ ჩვენ ეს მიზნად არასოდეს არ გვქონებია და არც გვაქვს. ჩვენი მცირე ადგილი და ჩვენი სოფლის მღვდლის წოდება არ გავსცვალეთ უმაღლეს და უმჯობეს ადგილზედ. ეს ვგონებ ყველასათვის ცხადია და დამტკიცება არ უნდა...

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა ახალი სასულიერო ოფიციალური ორგანოს დაარსება კიდევ სულ სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო. ცხადათ შენიშნულია, რომ ფარისევლური სიმჟავე ერთობ გამჯდარი აქვსთ ძვალსა და რბილში ზოგიერთებს. თავის ქება და ტრაბახობა, მაავრობის მოყვარება, ზარმაცობა, უქმის მეტყველება, მრუდე მსჯელობა, ორ პირობა, თვალთ მაქცობა, გაიძვერაობა, პირფერობა, მჩაგვრელობა და სხვა და სხვანი ერთობ გავრცელებულია ეხლანდელს დროში. ამისთანა დროში, რასაკვირველია, დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს ოფიციალურმა ორგანმა კაცობრიობას და გაბედულად ამხილოს ყველა ამისთანა ცუდი საქციელისათვის.

საქართველოს ხალხსა და სამღვდელოებაში ბევრი ძველებური წესწყობილებანი და ჩვეულებანი არიან კიდევ დაშთენილნი, რომელთა მოსპობას კი არა, ყოველ ნაირ ზომას უნდა ვხმარობდეთ, რომ ეს წეს-წყობილებანი უფრო დიდს ხანს დაშთენ. ამ ძველ ჩვეულებათა წყალობით მიყრუებულ სოფლებში ხალხის სარწმუნოება, ეკკლესიური წესების ასრულება, მრევლთა და მღვდელთა შორის დამოკიდებულება სწორედ პირველ ქრისტიანეთა დროს წარმოგვიდგენს. სამწუხაროდ, ყველა ამისთანა ძველი ჩვეულებანი თან და თან ისპობა და მათ მაგიერად უმჯობესი არ არსდება. მოთხოვნილი საჭიროება საქართველოის სამღვდელოებისა, ეკკლესიისა და ხალხისა მრავალ გვარია. ამისთანა შემთხვევაში დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ოფიციალურ გამოცემას, რომელსაც გაბედულად შეუძლია აღიმაღლოს ხმა თვისი და წარმოსთქვას თავისი აზრი....

აი რისთვის ვეგებებით ჩვენ ამ ახალი სასულიერო ჟურნალის დაარსებას ჩვენს საქართველოში დიდის სიხარულით. ღმერთმან ინებოს ჩვენი იმედები აღსრულებულიყოს.

### სივრცე გაზეთისა.

ჟურნალი შესდგება 48 გვერდისაგან და თითქმ ს სინოდის გამოცემის ტოლა არის. დაბეჭდილია ე. ხელაძის სტამბაში.

### შინაარსი.

ოფიციალურ ნაწილში მოქცეულია შემდეგი რედაქციის სიტყვა:...

საჭიროება საკუთარის დაბეჭდილის ორგანოში, რომელიც ემსახურებოდეს საქართველოს საეგზარხოსოს ეკკლესიურს ინტერესებს, დიდი ხანია ნაგრძნობია ყველასაგან. საქართველოს სამღვდელოებამ ერთხმად წარმოსთქვა ამის შესახებ თავის აზრი, ამ სამის წლის წინად, საეპარხიო კრებაზე. აქ გამოთქმული იყო, რომ თუ თვითოეულს რუსეთის ეპარხიას აქვს თავისი საკუთარი დაბეჭდილი ორგანო, მსგავსად «საეპარხიო უწყებისა», მაშ რატომ ამისთანავე არ უნდა ჰქონდეს საეგზარხოსოსა, რომელიც შესდგება მთელის ხუთის ეპარხიისაგანაო.

რამდენიმე კერძო პირი ადგილობრივის სამღვდელოებიდგან კიდეც შეეცადა დამსახურებოდა ამ მხრით მამულის საჭიროებას და სარგებლობას გამოცემითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებულის სასულიერო დაბეჭდილის ორგანოდ ესა. მესამოცე წლებში ამ ნაირად ცდა ეკუთვნის მ. დეკანოზს გ. ხელაძეს, რომელმაც ხელი მიჰყო გამოცემას სასულიერო ჟურნალისას, სახელად «სასულიერო მახარობელისას», ხოლო ბოლოს ამ უკანასკნელს მეათე წლებში ამავე ჯვარით ადგმა ეგრეთვე მ. დეკანოზი დ. ღამბაშიძე, რომელმაც კიდეც გამოსცა «მწყემსი» ქართულს ენაზე და «პასტირი» რუსულზე. როგორც პირველს, ისე მეორე გამოცემას არა პატარა ღვაწლი და სამსახური მიუძღვის თავის მამულის წინაშე, მეტადრე პირველსა. დაუფენებულს სრულებით მეცნიერულად და საგნის შესაფერად გამოცემას მ. დეკანოზი ხელაძისას შეეძლო ძალიან დიდს ხანს გაეწია სამსახური მამულის საჭიროებისათვის; მაგრამ, სამწუხაროდ, იმატომ თუ რომ ის იყო მეტის-მეტი სამეცნიერო და ამის გამო არ ეთანაშესაბამებოდა ადგილობრივს დროთის კითხვებს, ან თუ იმიტომ, რომ ვერ მოიპოვა შემწეობა და დახმარება იქ და იმ მხარიდგან, საიდგანაც საჭირო იყო ეს აღმოსჩენიყო მას, მაინცა და მაინც, სამწუხაროდ ყველა სასულიერო განათლების მოყვარეთათვის, ბოლოს ეს გამოცემა შესწყდა.

უფრო მომეტებულად გავრცელებული იყო როგორც სამღვდელოების, ეგრეთვე ადგილობრივის საზოგადოების შორის, გამოცემა მ. დეკანოზის ღამბაშიძისა «მწყემსი» და «პასტირი». ეჭვი არ არის, რომ შედარებით მომატებულს ამ გამოცემის გავრცელებაზე გავლენა ჰქონდა იმას, რომ ამ გამოცემაში მეტადმანამ პირველში, ეწყებოდნენ ოფიციალური განკარგულებანი ადგილობრივის მთავრობისა. მიუხედავად იმ ნაირის მიმართულებისა «მწყემსისა» და «პასტირისა». ეს ჟურნალი არ შეიძლებოდა გამხდარიყო ოფიციალურ საექსარხოსოს ორგანოდ განსაკუთრებით იმის გამო, რომ ეს გამოიცემა არა ქ. ტფილისში, რომელიც შეადგენს შუა გულს უმაღლესის საექსარხოსოს სასულიერო სამთავრო ადგილს, არამედ დაბა ყვირილაში, ქუთაისის ოლქში და მასთან იმ პირობებით, რომლებიც ბევრი რამით დააბრკოლებდნენ მთავრობის მიერ გამოცემას.

შეუდგება რა აღსრულებას მოვალეობისას, დაკისრებულს უმაღლესის მთავრობისაგან, მთელის საქართველოს სამღვდელოების სურვილისაგამო რედაქცია გამხნევებული გულწრფელის სურვილით, თავის შეძლებისა და ცოდნისა დაგვარად, სამსახური გაუწიოს საჭიროებას საექსარხოსოსას, ამასთან დიდი დაიმედებული, რომ მოიპოვებს თანაგრძნობას და დახმარებას ქართველ საზოგადოებისაგან; ხოლო განსაკუთრებით კი დიდი იმედი აქვს იმ საქართველოს შვილთაგან, რომელთაც მიუღიათ მაღალი საღვთის-მეტყველო განათლება ჩვენს სასულიერო აკადემიებში და რომლებიც, როგორათაც ჰგონებს რედაქცია, ზნეობით ვალდებულნი არიან ყველაზე მეტად დაეხმარნენ მას თავისი სამეცნიერო შრომებით განსაკუთრებით შესამუშავებლად ადგილობრივ საეკლესიო სიძველეთა და სამშობლო მხარის ისტორიისა. *)

შემდეგ არიან დაბეჭდილნი უწ. სინოდის უქაზები და განკარგულებანი შესახებ სამრევლო სკოლის მასწავლებლობის წოდების მიღებისა. კანონები ამ გამოცდაზე და უქაზი ძველი ნაშთების დაცვის შესახებ, რომელნიც ჩვენს უკანასკნელს რუსულს გამოცემაში იყვნენ დაბეჭდილნი. ამათ გარდა არის მოყვანილი სია ყველა მღვდელ-მთავართა რუსეთის იმპერიაში და სხვა და სხვა ცვლილებანი როგორც რუსეთში, ისე ჩვენს საექსარხოსოში ქართლ-კახეთის ეპარქიაში. არა ოფიციალურ ნაწილში არიან დაბეჭდილნი: სიტყვა მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალლადისა, ახალ წელს წარმოთქმული, შესხმა. თქმული სემინარიის რექტორის არქ. ნიკოლოზისაგან საქართველოს საექსარხოსოს მახარებელის რედაქციის კურთხევის დროს, სტატია თბილისის სემინარიის ინ პექტორის ნიკანორისა პატრიარქ ფოტიზედ და სტატია ანტონ I, კათალიკოზი საქართველოისა და მთავარ-ეპისკოპოსის ვლადიმირისა და იაროპოლსკისა, უ. ჟორდანიასი, სხვა და სხვა ამბები და განცხადებანი.

„Кавказъ“-მა და «Нов. Обоз.»-მ გაარჩიეს ეს ახალი ჟურნალი და თავისი მხრით გამოსთქვეს: «ეს ჟურნალი ისეა გამოცემული, რომ მეტის სურვილი აღარ შეიძლებაო». ამ გაზეთებს, რასაკვირველია, მეტის თქმა არ შეეძლოთ, რადგან მათ ძლიერ ცოტა უწყიან ჩვენი სასულიერო უწყების ავი და კარგი. მაგრამ ჩვენ, რომელსაც სულით და გულით გვსურს კეთილ-დღეობა და წარმატება ყველა სასულიერო გამოცემათა საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენი ახალი ოფიციალური ორგანისა. არ შეგვიძლია, ორიოდე სიტყვა არ გამოვსთქვათ საზოგადოდ ეპარქიალურ გამოცემათა შესახებ და განსაკუთრებით ამ ახალ გამოცემაზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

---

*) შეუცვლელად ვბეჭდავთ რედაქციის სიტყვას. გაზეთ „Кавказъ“-ში და „«Нов. Обоз.“-ში გამოცხადებული იყო, რომ «სასულიერო მახარებლის» ქართულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებს დეკ. გ. ხელაძე. ამბობენ, რომ ამ განყოფილებაში მონაწილეობას იღებს ბ. თ. ჟორდანია, სემინარიის ქართული ენის მასწავლებელი. ძლიერ გვაკვირვებს, რომ ასე ცუდი ენით ნათარგმნი სტატიები როგორ გაუშვეს და ისიც ახალი ჟურნალის 1-ს ნომერში! მთარგმნელი სიტყვა-სიტყვით სთარგმნის რუსულს ქართულად. ამავე დროს მთარგმნელმა არ იცის ზოგიერთი რუსული სიტყვების მნიშვნელობა ქართულად და გაურჩევლად ხმარობს ბევრ შეუსაბამო სიტყვებს. ამ ორი მიზეზის გამო სრულიად იკარგება და მახინჯდება აზრი დედანისა. ვინც რუსული არ იცის და ვისაც პირველად არ წაუკითხავს თვით დედანი, ის ძნელად თუ გაიგებს რამე აზრს ამ ნათარგმნიდგან. ამაში ცხადათ დარწმუნდება ყოველი ქართველი მკითხველი.

ეროვნული

## სასულიერო გამომძიებელნი.

(დასასრული *).

თუ რომელიმე მოწამე, რომელიც ნაჩვენები იყო მომჩივნის ანუ მოპასუხის მხრით, არ იქმნა ნაკითხი გამოძიების დროს, ეს მაშინვე უნდა ჩასწეროს გამომძიებელმა განსაკუთრებით სიგელში, რომელშიაც განმარტებული უნდა იყოს მიზეზი, რომლისა გამო მან ჩვენება არ ჩამოართვა მოწამეს. თუ მოწამე, რომელიც დაბარებული იყო ჩვენების ჩამოსართმევად, არ გამოცხადდა გამოძიებაზე და არც პატივსადები მიზეზი წარმოადგინა, მაშინ მეორე უწყების გაგზავნის შემდეგ, სასულიერო გამომძიებელი უნდა მიიქცეს თხოვნით ადგილობითი პოლიციისადმი, რათა დახმარება აღმოუჩინონ მას. მაგრამ როცა მოწამე ძალიან შორს არის ან სამსახურისა გამო არ შეუძლია გამოცხადება, მაშინ გამომძიებელმა უნდა მისწეროს მახლობელ მთავრობას, რომ ამ პირთ ჩვენება ჩამოართვან.

თუ ერთსა და იგივე დროს წარმოდგენილ იქნებიან მოწმები როგორც მომჩივნის მხრით, ისე მოპასუხისაგან, მაშინ პირველად უნდა ეკითხოს მომჩივნის მოწმებს და შემდეგ მოპასუხისას და ამ მოწმების ჩვენების ჩამორთმევა ჩაწერილ უნდა იქნეს სიგელში, რომელშიაც მოხსენებული უნდა იქნეს, თუ რომელი მოწამეა მომჩივნისა და რომელი მოპასუხისა.

სასულიერო გამომძიებლებმა დაწვრილებით უნდა გამოჰკითხონ მოწმებს, თუ რა განწყობილება აქვსთ მათ მომჩივან-მოპასუხესთან, ხომ არავის ურჩევია მათთვის, რომ უმოწმონ მათ, მათ თავის თვალით ნახეს ჩადენილი დამნაშაობა, თუ სხვისგან გაიგონეს და სხვანი, რაც საჭიროა საქმის გამოსარკვევად. თუ აღმოჩნდა, რომ მოწამეს სხვისგან გაუგონია ეს ამბავი, მაშინ გამომძიებელმა უნდა ჰკითხოს მას, თუ ვისგან გაიგონა და ამ უკანასკნელსაც უნდა ჩამოართვას ჩვენება. თუ მოწმები ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ აჩვენებენ, მაშინ გამომძიებელმა სხვა და სხვა კითხვების მიცემით უნდა გამოიკვლიოს, თუ რომელი მოწმის ჩვენება უფრო მართალია. მოწმის ჩვენების ჩამორთმევის სიგელში მოხსენებული უნდა იქმნეს, რომ ჩვენება მიეცა მან ფიცის მიღების შემდეგ; თუ მოწამე რაიმე კანონიერი მიზეზისა გამო განთავისუფლებულ იქნა ფიცის მიღებისაგან, მაშინ მას უფიცრად უნდა ჩამოართვან ჩვენება და ჩვენების სიგელში ჩაიწეროს, რომ მასს უფიცრად ეკითხა.

სასულიერო გამომძიებლებმა ყველა თავისი განკარგულებანი გამოძიების შესახებ, მაგალითად: მოწმების დაბარებაზე, გამომძიებლისაგან მიცემულ კითხვებზე, მოწმების დაფიცებაზე სათითაოდ უნდა შეადგინოს კერძო დადგენილობანი, საიდგანაც შეიძლებოდეს გაგება საძიებელი საქმის წარმოებისა და მასთან ეს დადგენილობანი უნდა იქმნენ აღწერილნი ჯეროვანის სიცხადით და ნაჩვენები უნდა იქნეს როგორც დრო ამ ოქმების შედგენისა, ისე ის საბუთნი და კანონიერნი მიზეზნი, რომელთა გამო გამომძიებელმა მოახდინა ასეთი განკარგულებანი.

გამოძიების დროს სასულიერო გამომძიებელნი მომჩივან-მოპასუხეთაგან იღებენ ყოველ გვარ ქაღალდებს, რომლებიც შეადგენენ წერილობითი ჩვენებას ანუ განმარტებას საქმის შესახებ. ხშირად ამისთანა ქაღალდებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსთ საქმისათვის, მხოლოდ გამოსაძიებელ საქმეს ავსებენ უარგისი მასალით. თუმცა სისხლის სამართლის მე VX ტ. 2 ნაწ. მე-55 მუხლში ნათქვამია: «ბრალდებულს საქმის გამოძიების გათავებამდე უფლება აქვს წარუდგინოს გამომძიებელს ყოველივე, რასაც შეუძლია მისი გამართლება», მაგრამ ამ სიტყვების შემდეგ იმავე მუხლში ნათქვამია: «გამომძიებლებმა უნდა მოისმინონ ბრალდებულის ჩვენება, და ამ ჩვენებათა ძალით უნდა გამოიძიონ ყოველივე, რაც კი გამოსაძიებელ საქმეს შეეხება. აქედამ ცხადია, რომ მე-55 მუხლის ძალით ითხოვება არა წერილობითი ჩვენებანი და განმარტებანი, არამედ აქ იგულისხმებიან ბრალდებულთა სიტყვიერი ჩვენებანი, რომელნიც უნდა მოისმინოს გამომძიებელმა, ჩასწეროს ისინი სიგელში და მათ შესახებ მოახდინოს გამოკვლევა, რაიცა საჭირო იქნება საქმისათვის. ამიტომ გამომძიებლებმა უნდა მოისმინონ მომჩივან-მოპასუხეთაგან ყოველივე მათი განცხადებანი და თხოვნები, ჩასწერონ სიგელში და მათ შესახებ მოახდინონ გამოკვლევა, რაიცა საჭირო იქნება გამოსაძიებელი საქმისათვის, ხოლო მომჩივან-მოპასუხეთ უნდა განუმარტონ, რომ წერილობითი მათი ჩვენებანი და განმარტებანი კანონში არ არიან მოხსენებულნი.

*) იხ. «მწყემსი» № 4 1891 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასულიერო უწყების პირნი, რომელნიც გამოძიების ქვეშ იმყოფებიან, ხშირად აგზავნიან სასულიერო ეპარქიის კონსისტორიებში მრავალ სხვა და სხვა განმარტებათა, თხოვნებს, პასუხებს და განცხადებათა და იმეორებენ ხშირად ერთსა და იგივეს, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის და არც პირადად მათთვის, მხოლოდ ამ განცხადებით და თხოვნებით უძნელებენ საქმის წარმოებას კანცელარიებს. კანონი ნებას აძლევს ბრალდებულთ წარუდგინონ გამომძიებელთ ყოველგვარი სიტყვიერი განმარტებანი და თხოვნები, ხოლო თვით გამომძიებელს ვალდებულს ჰყოფს ეს კანონი, რომ მან ეს განმარტებანი და თხოვნები ჩასწეროს სიგელში. ამიტომ სასულიერო წოდების პირნი უნდა მიიქცნენ სიტყვიერი განმარტებით და თხოვნებით გამომძიებელთადმი, რომ ამ უკანასკნელმა ჩასწეროს მათი განმარტება და თხოვნები სიგელებში. მათ ნება აქვსთ ეპარქიის სასულიერო სამმართველოებში შეიტანონ თავიანთი თხოვნები, მაგრამ ეს თხოვნები უნდა შეეხებოდენ გამოსაძიებელს საქმეს და მხოლოდ მაშინ უნდა შეიტანონ, როცა ეს ნამდვილად საჭირო იქმნება, მაგალ., როცა შედის თხოვნა, რომ შევსებულ იქნეს გამოსაძიებელი საქმე, ანუ როცა საჩივრები შედის გამომძიებლის უკანონო მოქმედების შესახებ. ყოველივე თავის გასამართლებელი საბუთები ბრალდებულმა უნდა წარუდგინოს გამომძიებელს თვით გამოსაძიებელი საქმის წარმოების დროს, რათა გამომძიებელმა კანონიერად განიხილოს იგინი და გამოიძიოს ამ საბუთების სინამდვილე; ეს საბუთები უყურადღებოდ რჩებიან, თუ ისინი გამომძიებელთაგან განუხილველნი იქმნენ წარდგენილი კონსისტორიაში ანუ ყოვლად სამღვდელოსადმი. ხშირად ზოგიერთი გამომძიებლები სიგელებს სწერენ ცუდის ხელით, მასთან ზოგიერთ სიტყვებს შლიან და სამაგიეროს ზემოდ აწერენ, ამიტომ საჭიროა იცოდნენ გამომძიებლებმა, რომ სისხლის სამართლის მე-XV ტ. 2 ნაწ. 474 მუხლის ძალით გამომძიებელთაგან შედგენილს სიგელებში და ოქმებში არ უნდა იყოს წაშლილი ანუ გასწორებული სიტყვები; ცხადი გასწორება ანუ სიტყვების დამატება შეიძლება, მაგრამ მათ შესახებ განმარტება უნდა იქნეს ამავე სიგელზე, ანუ დადგენილობაზე მათზე ხელის მოწერამდე. სასულიერო კონსისტორიის წესდების მე-161 მუხლის ძალით საძიებელი საქმე, როცა იგი მთლად დასრულდება, უნდა წარედგინოს მომჩივან-მოპასუხეს წასაკითხად და ხელის მოსაწერად თითოეულს ფურცელზე, ხელის მოწერის დროსვე მომჩივან-მოპასუხეთ უნდა განაცხადონ, კმაყოფილნი არიან ისინი გამოძიებით, და თუ უკმაყოფილონი არიან, სახელდობრ რაში მდგომარეობს მათი უკმაყოფილება. ამის გარდა სასულიერო გამომძიებელნი, თუ მომჩივან-მოპასუხენი განაცხადებენ ხელის მოწერის დროს უკმაყოფილებას, რომ გამოძიება სისრულით არ არის ნაწარმოები, ვალდებულნი არიან შეავსონ გამოძიება, თუ კი ეს განცხადება კანონიერი იქნება. სისხლის სამართლის XV ტ. 2 ნაწ. 322 მუხლის ძალით სასულიერო გამომძიებელნი ვალდებულნი არიან, რომ გამოძიების შესახები ყველა ქაღალდები, სიგელები და გამომძიებლის დადგენილობანი შეკრულნი იქმნენ იმ წესით, რა დროსაც შედგენ ისინი, ანუ მიღებულ იქმნენ, მთელი საქმე უნდა იქმნეს დანომრილი, ხელმოწერილი თვითოეულ ფურცელზე და ზონარ გაყრილი. ზონარის თავზე დაკრული უნდა იქნეს გამომძიებლის და დეპუტატის ბეჭედი. საქმის თავში უნდა იყოს სია ქაღალდებისა, სადაც აღნიშნულ უნდა იქნეს ყოველი ქაღალდის შინაარსი და მასთან ისიც, თუ რომელი ქაღალდი რომელ გვერდზეა საქმეში. ყველა ქაღალდები უნდა დაწერილ იქნეს კაი მელნით და გასაგები ხელით და მასთან ყოველს ფურცელზე, სადაც გაყრილი იქნება ზონარი, დატოვებული უნდა იქნეს წმიდა ადგილი ერთი გოჯის ოდენი, რომ ნაწერის წაკითხვა არ გაუჭირდეს კაცს, ანუ ნაწერი არ წაიშალოს, ან არ გაიხეს წაკითხვის და ზონარის გაკეთების დროს. ზონარი უნდა იქნეს გრძელი, რომ საქმის ფურცლების გადაშლა საძნელო არ იქნეს.

## «მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

### სოფ. დორეშიდამ (ზემო იმერეთშია).

ვინც ხალხის კეთილდღეობის მონატრეა და მისი ჭირი ლხინად არ მიაჩნია, იმას სწორედ გულს შეუწუხებს ის გარემოება, რომ ჩვენი მდაბიო ხალხი ხშირად იმისთანა პირებს უფრო უჯერის ყველაფერს, რომელთაც კიტრად ულირსთ სხვის გაჭირვება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალხინება და მუდამ იმასა ცდილობენ, რომ მოხერხებით უმეცარ მოძმეს დასცინცლონ რამე, ვინემ იმისთანაებს, რომელთაც პიროვნული სარგებლობა თითქმის დაუვიწყებიათ და თავდადებულად ზრუნავენ ხალხის წარმატებისათვის. ამას ცხადად ამტკიცებს ის შეურყეველი ავტორიტეტი, ის განუზომელი პატივი და ნდობა, რომელიც სოფლის მატყუარა მკითხავ-ექიმებსა აქვსთ მოპოებული ჩვენს ხალხში. ჩვენში ბრალიანი და უბრალო ექიმობას ჩემულობს და საქმით კი არასფერი არ გაეგება ექიმობისა. ანდაზისა არ იყოს, წყალწაღებული კაცი ხავსს ეპოტინებოდაო, ისე საწყალი ხალხის საქმეც: გაუხდებათ ვინმე თუ არა ავად, მაშინვე მკითხავს მიაშურებენ, რომელიც ავადმყოფობის მიზეზათ ან ხატს დაასახელებს, ან თვალს (თვალითაა გალალულიო), ან აყოლილს, ან სხვა რამეს და ამასთანავე ურჩევს, როგორ უნდა შემოუაროს თავს. მკითხავის ბრძანებისამებრ, ავადმყოფის პატრონმა ან ხატს უნდა მიართვას რამე, ან მისი ავადმყოფის „ავისთვალით“ შემხედავი მოძებნოს და თავი დაალოცვინოს, რისგამოც, თუ „ავთვალობაში“ ნაძრახმა პირმა სნეული არ დალოცა, ხშირად წიწკნა-გლეჯაც გაიმართება ხოლმე, და ან დედაკაცებს გამოალოცვინოს, „განატეხი“ გაუტეხოს და რომელიმე სოფლის ჯანაოზ ექიმისაგან „ხელნაკრავის წამალი მოუტანოს. ყველა ამაების შედეგათ ის ხდება, რომ ავად-მყოფს მკითხავის რჩევით სოფლის მატყუარა ექიმის წამალს ასმევენ და სნეული ან რჩება თავისით, ან ჰკვდება...

თუმცა ასე დიდი ნდობა აქვს მდაბიო ხალხს სოფლის მკითხავ-ექიმებზე, მაგრამ არ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ ამ ბოროტ-მოქმედებათა წინაალმდეგ ბრძოლა ყოველთვის უნაყოფოდ რჩებოდეს. ამ რამოდენიმე წლის წინედ სოფ. ლორეშაში ოთხი მკითხავი იყო, რომლებიც უმოწყალოდ სცარცვავდენ ხალხს. მღვდელმა აღუკრძალა მათ წმ. საიდუმლოს მიღება, დაითხოვა კერძოთ თუ სახალხოთ, რომ ხელი აეღოთ ღვთის წინაალმდეგ საქმეზე, მაგრამ იმათ თავისი ვერ მოიშალეს. ბოლოს მღვდელმა იმათ ხელწერილი ჩამოართვა, რომლის ძალითაც, თუ კიდევ გაბედავდენ მკითხაობას, ისეთი ჯარიმა გადახდებოდათ, რომ მთელი მათი საცხოვრებელი არ ეყოფოდა. დღეს ამ პირებმა თითქმის მთლად აიღეს ხელი ხალხის ცარცვაზე, მაგრამ გარეშე სოფლებიდამ მოსული მკითხავები კი გვეწვევიან ხოლმე ხანდისხან. სოფ. ლორეშას ამას წინეთაც ეწვია ერთი გამოჩენილი „მკითხავ-ექიმი“, რომელსაც ვილაც შტატ გარეშე მედავითნე აედევნებია უკან. ეს გაკადნიერებული ვაჭ-ბატონი «დოხტურის» სახელით დაბინავებულა ერთი გლეხის ოჯახში. გაუგია თუ არა სოფელს ამა და ამ კაცისას „დოხტური“ მოსულაო, მიუყვანიათ მასთან ურიცხვი სნეულები: ბრმები, კუტები, ბნედიანები, ჭკუა შერყეულები და სხვ.; გამოურთმევია ვისთვის თხუთმეტი მანეთი, ვისთვის ათი, ვისთვის შვიდი, ვისთვის ხუთი და ყველა დაურწმუნებია, სულ ცოტა ხანში მოგარჩენთო. სხვათა შორის ერთი კუჭის სნეულებით დასუსტებული მისულა და უთქვამს თავისი გაჭირვება. «ადვილია შენი მორჩენა—უთქვამს «დოხტურს»,—შენ გაგჭრი, შიგნით გიწამლებ, ისევ შეგკერავ და საღი კაცი შეიქნები. თუ ასე არ მოიქეცი, ბევრი-ბევრი ორი წელიწადი თუ იცოცხლებ კიდევ». საწყალი სნეული გაჭრის ხსენებაზე შიშს აუტანია და უთქვამს: არა, ბატონო; რაც ღმერთს ენებოს, ის მომივიდეს და გაჭრას ნულარ მიბრძანებთო. იმ დროს მე, ამ სტრიქონების დამწერი, ავად ვიყავი. შემოვიდა ერთი კაცი სანახავად და, რომ გაიგო ავად-მყოფობის მიზეზი, ღიმილით მითხრა: „როგორ დავიჯერო ისე ავად იყო, რომ აგერ ოქონაში ასვლა არ შეგეძლოს?»—მერე რა გავაკეთო, რომ ავიდე? ვკითხე მე. «რა უნდა გააკეთო კი არა, ეხლა ერთი დოხტური იქ მოვიდა, იმისთანა, მგონია, ჯერ არავინ შემოსულიყოს ლორეშაში. იმ მამა ცხონებულმა სად ისწავლა მაინც მკითხაობაც და ექიმობაც. რა უნდა აკითხვინო, რომ იმან არ გითხრას, ან რა ავად-მყოფი იქნება, რომ ვერ მოარჩინოს?! ორი ცხენი ჰყავს წამლებით დატვირთული! რომ შეხედო «ღუბერნატორი» გეგონება, ისე რუსულად შეკაზმული, მაგრამა რა თავდაბალია ის კურთხეულის შვილი: თითქოს სულ უბრალო კაცი იყოსო, ისე ტკბილად ემუსაიფება ყველას!» მე მაშინვე მივხვდი, რა „დოხტურიც“ იქნებოდა ის ვაჭბატონი და ნაღვლიანად ვუთხარი გლეხს: სხვას დააყაროს სიკეთე იმისმა წამალმა და მე არც ოქონაში ასვლა შემიძლია და არც მაგისთანა დაუპატიჟებელი «დოხტურის» წამალი მეჭირვებათქო. გლეხს წყენა შევატყე. ისე თქვენ შეგისრულდესთ ყოველი კეთილი საქმე, როგორც ჩემი ნათქვამი ასრულდა: «დოხტურმა» ავად-მყოფებს დაუტოვა წამლები, დაარიგა რა დროს, ან რა ზომით უნდა მიეღოთ, დაუნიშნა ვადა ხელახ-

ლად მობრუნებისა და გაუდგა გზას; ავად-მყოფებმა მიიღეს წამალი და იაეთი საშინელი პირიდამ საქმობა აუტეხა ყველას, რომ ისეც დასუსტებულები, როგორც აქ იტყვიან, ფარჩხზე გადასაკიდებლად გახდნენ. მადლობა ღმერთს, რომ სიკვდილით არავინ მოუკლავს. «დოხტური» კი მას აქეთ არც მობრუნებულა და არც იციან, სად ბრძანდება ეხლა. ამ ცოტა ხნის წინედ სოფ. მანდაეთში მცხოვრებმა ჯ. გ—ლმა მითხრა—ერთი «დოხტური» ჩვენ სოფელში მოვიდა და თან მედავითნედ ჩამყოფი რ. გ. ახლდა. გაავრცელეს ხმა, რომ ყოველნაირ ავად-მყოფს არჩენსო. მეც ავჰყევი სხვებს და მოხუცი დედისათვის ვაექიმებინე, რომელსაც თვალებზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული, თუმცა მხედველობა მთლად არ ჰქონდა დაკარგული. სამი თუმანი გამომტყუა და წამალი დამიტოვა, რომელმაც საწყალ მოხუცს მთლად გაუფუჭა თვალები და ეხლა სრულებით ვეღარაფერს ხედავსო. ამის შემდეგ გამოუდექი იმ ღვთის მტერს, ეგების ჩემ ფულებს მაინც დამიბრუნებ და, მაგრამ მისი კვალი ვეღარ მოვიკვლიე. არ ვფიქრობ, რომ ეს „დოხტური“ იგივე «უებარი ექიმი» არ იყოს, რომელიც ამას წინედ «მწყემსი»-ს მესამე №-ში იყო აღწერილი. ცხადია, რომ რაც დორეშლებსა და მანდაეთლებს დაჰმართა ამ «დოხტურმა», იმასვე დაჰმართებს სხვა სოფლებსაც. ამიტომ ურიგო არ იქნება პოლიციამ გაიგოს ამ ვაჟბატონის ვინაობა და სამუდამოდ ბოლო მოუღოს მისს ბოროტ-მოქმედებას.

დორეშის სამრევლო სკოლის მასწავლებელი
სიმონ ჭუმბურიძე

## რუსეთის მართლ-მადიდებელი ტაძარი ვენაში.

ავსტრიის სატახტო ქალაქს ვენაში არის რუსეთის ერთი მართლ-მადიდებელი ეკკლესია წმ. ნიკოლოზის სახელზედ. ეკკლესია არის მოთავსებული ერთ ორ-სართულიან შენობაში, რომელიც ეკუთვნის რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს. ამ შენობის ძირა სართულში მოთავსებულია მრავალი სხვა და სხვა სავაჭრო დუქნები, ხოლო ზემო სართულში არის ეკკლესია. ეკკლესიის შენობა ისეა გარემემო შემოზღუდული მაღალი შენობებით, რომ კაცი ვერც კი შენიშნავს, თუ იმ ადგილს ეკკლესია არის. ამის გამო ეკკლესიაში ისე ბნელა, რომ უსამთლოდ მასში შესვლა არ შეიძლება. კიბე, რომლითაც შედის კაცი ამ ეკკლესიაში, ძალიან ძნელი ასავალია. ეკკლესია ძალიან პატარა და ვიწროა და ამიტომ წირვა-ლოცვის დროს იგი ვერ იტევს ყველა მლოცველებს. შობა-დღეს მლოცველები რიგით შედიოდნენ ეკკლესიაში ღვთის-მსახურების მოსასმენად და მრავალნიც კიბეებზე იდგნენ, რადგან ეკკლესიაში შესვლა არ შეეძლოთ უადგილობისა გამო. ამ ეკკლესიაში დადიან წირვა-ლოცვის მოსასმენად რუსეთის საიმპერატორო ელჩი, კონსული, ყველა მათნი მოსამსახურე პირნი და სხვა მართლ-მადიდებელნი, როგორც ვენაში მცხოვრებნი, ისე მოგზაურნი. ეკკლესია შიგნით შესაფერად არის მორთული და გამშვენებული. ეკკლესიის კრებულს შეადგენს ერთი მღვდელი, ერთი მთავარი და ორი მედავითნე. ყველა ამ პირთ სწავლა აქვსთ დამთავრებული სასულიერო აკადემიაში. კრებულის თითოეული წევრი დიდ ჯამაგირს იღებს რუსეთ-ს გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან. წირვა-ლოცვა სრულდება რუსულს ენაზე. მგალობლებად მოწვეულნი არიან ზოგიერთი ნემცები, რომელთაც რიგიანად შეუსწავლიათ რუსული საგალობლები.

ამ ეკკლესიაში წირვა-ლოცვის დაწყებას ზარის რეკით არ აუწყობინებენ მლოცველთ, როგორც ეს შემოღებულია მართლ-მადიდებელ ეკკლესიებში. ყოველი თვის დამდეგს ეკკლესიის კრებული გამოაკრავს ეკკლესიის კარებზე განცხადებას, რომელზედაც აღნიშნულია, თუ რომელ დღეებში იქნება თვის განმავლობაში წირვა-ლოცვა და რომელ საათზე დაიწყება რომელიმე ღვთის-მსახურება. თანახმად ამ განცხადებისა მლოცველნი იკრიბებიან ეკკლესიაში ღვთის-მსახურების მოსასმენად.

ამ ტაძრის სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურენი ექვემდებარებიან ადგილობით ელჩს და პირ და პირი დამოკიდებულობა აქვსთ პეტერბურგის და ნოვგოროდის მიტროპოლიტ ისიდორესთან. საეკკლესიო საბუთები იწერებიან რუსულს ენაზე. ერთი პირი ამ საბუთებისა ინახება თვით ეკკლესიის სალაროში, მეორე—დგინდება პეტერბურგის სასულიერო კონსისტორიაში, მესამე ეგზავნება მიტროპოლიტს, მეოთხე უწმიდესი სინოდის ობერ-პროკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როჰს და მეხუთე დგინდება რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში.

ამ ეკკლესიის სალაროში სხვა ძვირფას ნივთთა შორის შესანიშნავია ერთი ხელი დაფარნა თეთრი ხავერდისაგან შეკერილი და ოქრომკედით ნაქსოვი. დაფარნები მორთულია ძვირფასი მარგალიტებით. ეს დაფარნები შეუწირავს ეკკლესიისათვის სერბიის კოროლევას ნატალიას 1887 წელში; ეს დაფარნები ღირს არა ნაკლებ 1500 მანეთისა. აქვე იმყოფებიან ტრაპეზის დიდი ძვირფასი ჯვარი და სახარება ოქროს ყდაში ჩასმული, რომელნიც შეუწირავს ეკკლესიისათვის მის იმპერატორებითი უდიდებულესობას რუსეთის იმპერატრიცას განსვენებულს მარიამ ალექსანდროვს ასულს.

ამ ეკკლესიის წინამძღვარი დეკანოზი მ. ა. ნიკოლაევსკი ძლიერ სცდილობს, რომ ქალაქ ვენაში შესაფერი ეკკლესია ააშენოს და ამ საქმის შესახებ კითხვაც აღუძრავს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომლისგანაც დღე-დღეზე მოელიან პასუხს. რიგიც არის, რომ ამ სატახტო ქალაქში რუსეთის მთავრობას ერთი შესაფერი ტაძარი ჰქონდეს აშენებული.

ბ. მ. გ. ბე=ძე.

---

## ვითომე ხელაძის ახირებული წერილის გამო.

«ივერიის» მე 49 №-ში ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ ახირებულ ამბავს:

> ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ საეკკლესიო წიგნების ბეჭვდა ტფილისში მოხდება და არა მოსკოვში, როგორც ამის გამო საზოგადოებაში ხმა იყო გავრცელებული. გამოდგა, რომ საეკკლესიო წიგნების ბეჭდვა ტფილისიდამ მართლა მოსკოვში გადაუტანიათ. გუშინდელს «Нов. Обоз.»-ეს №-ში ბ-ნი ხელაძე სწერდა, რომ მე გსთხოვე ვისაც ჯერ იყო, გადმოეცათ ჩემთვის საეკკლესიო წიგნების ბეჭდვა, მაგრამ უარი მივიღე. რადგანაც უკვე გადაუწყვეტიათ, რომ ასეთ წიგნების ბეჭდვა მოსკოვში უნდა მოხდესო. ყურადღების ღირსია ის გარემოებაო, განაგრძობს ხელაძე, რომ ადგილობრივ უმაღლესს სასულიერო მთავრობას ამ საქმეში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, არამედ ყოველივე ეს უწმიდეს სინოდს გადაუწყვეტია იმერეთის ერთის დეკანოზის მოხსენებით, საჭიროა ვიცოდეთ, ვერ შეიძლებს გაზეთი «მწყემსი», რომ ქართველ საზოგადოებას ამ საქმის გარემოება დაწვრილებით აუწყოსო.
>
> ვნახოთ, „მწყემსი“ ამ საკითხს რა პასუხს გასცემს.

«მწყემსმა» თავისი აზრი ამ საქმის შესახებ გამოსთქვა თავის გამოცემის წარსული წლის ორს ნომრებში და იმედი ჰქონდა, რომ ამ საგნის შესახებ ორიოდე სიტყვას იტყოდა გაზეთი «ივერია» და «Нов. Обоз.», მაგრამ იმ დროს ამ გაზეთებს კრინტი არ დაუძრავსთ ამ საგნის შესახებ. ალბათ ამ დროს «ივერია» ბისმარკის პოლიტიკის წრეში იყო გართული და «Нов. Обоз.» ბ. ქ. ჩიკვაიძეზე იყო გალაშქრებული და ამისთანა საქმეების დარდი არა ქონდა. მართალია, წარსულ წელში გაზეთ «Нов. Обоз.» ერთ ნომერში ბ. ი. ხონელმა დაბეჭდა ერთი სტატია ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ, მაგრამ ეს სტატიაც ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი სტატიიდამ იყო ისტატიურად შედგენილი. ამ სტატიაში ბ. ი. ხონელს ბევრი თავის შემცდარი მოსაზრება ჰქონდა ჩართული; მაგრამ ეს გასაკვირველიც არ არის, რადგან ხონელმა სრულებით არაფერი იცის ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის ისტორიის შესახებ.

ყველაზე მეტად ხელაძის ახირებული საქციელი გვაკვირვებს. რა გაჭირვება ადგა ამ ბატონს, რომ «Нов. Обоз.»-ს, მიაშურა თავისი ახირებული წერილით და ქართული გაზეთები მიატოვა. ვინ უშლიდა პირ-და-პირ ჩვენთან მოქცეულიყო თავის წერილით?! სინოდალნი კანტორის «სტოროჟისთვისაც» რომ ეკითხა ხელაძეს, ისიც კი ეტყოდა, რომ ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმის შესახებ სინოდს სრულებით არა გადაუწყვეტია რა ჯერჯერობით და არც გარდაუწყვეტს სინოდალური კანტორის დაუკითხავად. ნუ თუ ხელაძემ არ იცის, რომ ჩვენი საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმის მოსკოვში გადატანა მოხდება საქართველო-იმერეთის სინოდალნის კანტორის დათანხმებით და გარდაწყვეტით და არა ერთი იმერელი დეკანოზის წარდგინებით?! ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ მოსკოვის სინოდალნი სტამბას პირობებიც გამოუგზავნია ამას წინეთ კანტორისათვის ქართული საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის შესახებ და

ითხოვს კანტორიდგან ამ პირობათა მიღებას, ან უარის გამოცხადებას. სინოდალნი კანტორა, რასაკვირველია, თუ სასარგებლოდ დაინახავს ამ პირობათა, მიიღებს და დათანხმდება და თუ არა, უარს განაცხადებს. დასაჯერი არ არის, რომ საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე საქართველოს ექსარხოსის და კანტორის ნება-დაურთველად სადმე გადიტანონ. მათი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პალლადი და კანტორაც, რასაკვირველია, მიაქცევენ ყურადღებას წიგნების კარგად და იაფ ფასად ბეჭდვას. თუ მოსკოვში იაფად დაჯდა წიგნების ბეჭდვა, რასაკვირველია, ყურადღებას არავინ მიაქცევს ექვთიმე ხელაძის და მიკირტუმების სტამბის ზარალს და, თუ თფილისში უფრო იაფად დაჯდება ბეჭდვა, მაშინ ჩვენ არა გვჯერა, რომ კანტორამ აქვე არ დაიწყოს წიგნების ბეჭდვა.

ე. ხელაძის შეხედულება მაზედ, რომ ექსარხოსის და კანტორის აზრის წინაალმდეგ და მათ ნებადაურთველად სინოდმა გარდასწყვიტა საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმის მოსკოვში გადატანაო, მეტის-მეტად სასაცილო და ზღაპრულია და შეიძლება იფიქროს ოთხი წლის ბავშმა და არა სრულ წლოვანმა კაცმა.

# მღვდლის საიდუმლო.

(გაგრძელება*)

ეხლა ჩვენ უნდა განვმარტოთ, თუ როგორ დაისაჯა მ. იოანნე მკვლელობისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია, და შემდეგ როგორ გაიმარჯვა მისმა სიმართლემ, და როგორ დაჯილდოვდა მისი ქველმოქმედება.

მემამულე ი. იყო პატივსმცემელ მ. იოანნესი, იგი იყო მ. იოანნეს სულიერი შვილი და ძალიან უყვარდა თავის სულიერ მოძღვართან საუბარი სარწმუნოებაზე.

თავისი მოულოდნელი სიკვდილის დღეს ი. ძალიან მოწყენილი იყო და ძალიან ცუდად გრძნობდა თავის თავს. უეცრად, თითქო ღვთის განგებით, რომ მომზადებულიყო იგი სიკვდილისათვის, ი—ან შევიდა მ. იოანნე. მოძღვრის დანახვა ძალიან სასიხარულოდ დაურჩა ი—ს.

მ. იოანნემ და ი. დაიწყეს საუბარი; ი. მთლად გადუშალა თავისი გული მ. იოანნეს, იგი ინანებდა ახალგაზდობაში ჩადენილს ცოდვებს და ევედრებოდა მღვდელს, რომ მას ელოცა მისთვის. მ. იოანნემ ანუგეშა ი. და უთხრა, რომ ღმერთი მოწყალეა და იგი მიუტევებს მას ცოდვებს. შემდეგ მღვდელი ადგა და წავიდა, რადგან შინ საქმე ჰქონდა.

როცა მ. იოანნე გამოვიდა ი. და რამდენიმე ნაბიჯი გაიარა ქუჩაზე, იგი შეხვდა თავის სამწყსოთაგანს. ეს იყო აზნაური თეოდოროვი.

თეოდოროვი რაღაც შეშფოთებული იყო. ის ისე გართული იყო ფიქრებში, რომ მღვდელთან შეხვედრის დროს არა თუ არ შეჩერდა, თავიც არ დაუკრავს მღვდლისთვის, თუმცა მ. იოანნემ მას ქუდი მოუხადა.

მ. იოანნემ თეოდოროვს თვალი გააყოლა და, როცა შენიშნა, რომ მან ი. სახლისაკენ შეუხვია, გასწია თავის სახლში.

სახლში მ. იოანნე შეუდგა მეორე დღისათვის გაკვეთილების მზადებას. მეცადინეობის დროს მას შემოესმა, რომ შემოსავალი ოთახის კარი გააღო ვიღაცამ და შემოვიდა ზალაში, რომელიც მ. იოანნეს სამეცადინო ოთახის მახლობლად იყო. მამა იოანნემ დაანება თავი მეცადინეობას, აიღო ხელში სანთელი და ზალაში გამოვიდა. მას წინ შეეგება თეოდოროვი, რომელსაც რაღაცა აღშფოთება ეტყობოდა, პირის სახე მთლად გაყვითლებული ჰქონდა და თვალები ანთებული.

მამაო, უთხრა ჩუმათ თეოდოროვმა მ. იოანნეს, მე ჩავიდინე დიდი და სასიკვდინე ცოდვა.

მ. იოანნეს არ გამოუკითხავს თეოდოროვისათვის, თუ რა ცოდვა ჩაიდინა მან და სად? მ. იოანნესთან იდგა მისი სულიერი შვილი და მღვდელმა მიუგო მას ისე, როგორც შეჰფერის სულიერ მამას:

— თუმცა თქვენ შესცოდეთ და ეს ცოდვა აწუხებს თქვენს სულს,—უთხრა მ. იოანნემ თეოდოროვს,—აი მაცხოვრის ხატი ჩვენს წინაშე, აი ჯვარი და სახარება... როგორც სულიერს მწყემსს და მამას, მითხარით მე თქვენი ცოდვა, რომ ჩემი შუამდგომლობით მიიღოთ განკურნება თვით ქრისტესაგან.

სთქვა თუ არა ეს მღვდელმა, გააღო დიდი კიდობანი, რომელიც იდგა წინა კედლის კუთხეში და

*) იხ. «მწყემსი» № 4, 1891 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სავსე იყო ხატებით, ამოიღო იქიდგან ჯვარი და სახარება, შეხვეულნი ოლარში, დაასვენა ისინი პატარა სტოლზე, ოლარი კი ჩამოიკიდა; წაიკითხა ალსარების წინ წასაკითხავი ლოცვები, რომელიც შეამოკლა, რადგან თეოდოროვი მეტად აღშფოთებული იყო, შემდეგ მიუბრუნდა თეოდოროვს ჩვეულებრივი სიტყვებით, რომელნიც არიან კურთხევანში: შვილო! ნუ გრცხვენის, ნურც გშინის და ნურას დაფარავ ჩემგან».

თეოდოროვი მივიდა მღვდელთან, პირჯვარი გამოისახა და სთქვა:

— კარგი, მე ყოველივეს გეტყვით თქვენ; მაგრამ ნუ თუ თქვენ არ გამ ძხელთ, მამაო, პოლიციასთან, როცა ის ამ საქმის შესახებ მოახდენს გამოძიებას?

— მე ვარ ქრისტეს მოსამსახურე. ის, რასაც ჩვენ ეხლა ვასრულებთ, არის საიდუმლო, რომელიც ხდება მხოლოდ სამ პირს შორის: შენსა, ჩემსა და უფლის შორის. როცა მე უმოწმებ თქვენს ცოდვებს ქრისტეს, მერე მე აღარ შემიძლია შენი ცოდვები უთხრა გარეშე პირს. ამას მიკრძალავს მე სინდისიც და კანონიც.

მაშინ თეოდოროვმა უთხრა მღვდელს, რომ ამ რამდენიმე წამის წინედ მე მოვჰკალი ი...

მ. იოანნემ ვერ დაინახა მკვლელის გულში ჭეშმარიტი მონანება. აღმსარებელის გული აღელვებული იყო სხვა გრძნობებით, რომელთა შორის პირველი იყო შიში ქვეყნიური სასჯელისა. ამიტომ მღვდელმა გაუშვა თეოდოროვი ცოდვების მიუტოვებლად და უთხრა:

— ეხლა შენ არ შეგიძლია, როგორც რიგია, მიიღო უფლისაგან მიტევება. პირველად შენ უნდა შეიგნო გამოცდილებით, რომ ღვთის მსჯავრი უფრო მძიმეა, ვინემ კაცთა მსჯავრი.

როცა ამის შემდეგ მ. იოანნესთან მოვიდა პოლიციის ბოქაული და გამოჰკითხა: იცის თუ არა მან, რა შეემთხვა ი., მღვდელი შეშფოთდა და პასუხი ვერ გასცა. ეთქვა, რომ „არ ვიცი“, ნებას არ აძლევდა მღვდელს მისი ჩვეულებრივი სიმართლე, ხოლო ეთქვა, „ვიცი‘‘, ამას უკრძალავდა მას აღსარების საიდუმლო.

პოლიციის ბოქაულმა ეჭვი აიღო, რომ ი—ს მკვლელი იყო მ. იოანნე და არა სხვა ვინმე. ამ ეჭვს ამტკიცებდა სისხლის ლაქები მღვდლის ანაფორაზე და სისხლიანი დანა, რომელიც მოსჩანდა ანაფორის ჯიბიდგან. არ შეეძლო ეთქვა მღვდელს, რომ ეს დანა დატოვებული იყო თეოდოროვისაგან და მისგანვე იყო სისხლიანი ხელები შეწმენდილი ანაფორაზე, რომ თეოდოროვი და არა სხვა ვინმე არის მკვლელი ი., რადგან მ. იოანნეს ამას უკრძალავდა აღსარების საიდუმლოება.

## გაზაფხული.

დღეს არის პირველი მარტი
დაწყება გაზაფხულისა,
იშლება ხეთა კვირტები,
ზამთრისგან დაჩაგრულისა.

გაზაფხულის სიახლოვე
თებერვალმა გვაგრძნობია,
მინდორთ იწყეს ამწვანება,
აყვავილდა ტურფა ია.

დღესასწაულობს ბუნება,
ჰყვავის ათას ფრათ ხენია,
კლებულობს ღამის წყვდიადი,
სიგრძეს მატულობს დღენია.

აგერ მერცხალიც გვესტუმრა;
კეკლუცათ იწყო ფრენაო,
ემდურის წარსულს ზამთარსა,
ცუდი დღე დაგვაყენაო.

მაგრამ, უწყალოს უწყალოდ
ვხედავ ამოხდა სულიო;
მე კი მიხარის, ვნავარდობ,
მომესწრო გაზაფხულიო.

გაზაფხულდა, გაზაფხულდა,
დღე დაგვიდგა გასახარი,
კორდი, ბუჩქი გამოფხიზლდა
ზამთრისაგან ცოცხალ-მკვდარი.

ნუ თუ ჩვენცა არა გვმართებს
გალვიძება ძილით მთვრალთა,
წმიდა გრძნობით, წმიდა შრომით
რომ ვიხდიდეთ კაცურ ვალთა?

რაჟდენ საჯაოხელი.

1891 წ. 1-ს მარტს.

რომელმანმე ვერაგობამა კერძო ან მუნით ანუ ჩემ კერძო მოშალოს შეწირულება ესე და წირვა ჩემ თვის იგიმცა შეიშლების სახისა თვისისაგან და ნობოხოდონოსორის და თერდატის მსგავსად დაისჯების [2]). ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ იყავ მადლითა შენითა დაიწერა ხელითა მდივნის მაღალაძის იოსებისათა, თუ ვინიცის ჟამთა ვითარებისაგან, რომელიც შეწირულების სიგელი დამიდვია და წმინდის შიო მღვიმის მონასტრისათვის სიგელი მიმირთმევია თუ ის დაიკარგოს ჟამთა ცვლილებისაგან ამ წერილმა უნდა იპოვნოს და ჩვეულებისაებრ წირვა და ლოცვა უნდა განაახლონ იანვრის ია წელსა ჩყბ ქორონიკონს უჟ

ბეჭედი. მოურავი იოანე.

---

შიო მღვიმისა.

კეთილ მორწმუნეს და განათლებულესს ჩვენს მოყვარეს მეფის სძალს ქეთევანს

ღვთისა დიდისა მსასოებელსა უმოწყალესა ხელმწიფესა

1802. წმიდის შიო მღვიმის მონასტრის არხიმანდრიტი და ჩემთანა ესე ძმანი გლახაკნი ბერნი მარად მლოცველნი თქვენი უმდაბლესს პატივისცემას და ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვას მოგახსენებთ, და წმიდისა ამის მონასტრის მადლსა მფარველად თქვენსა უგანათლებულობას მოუძღვნით. უგანათლებულესო მეფის სძალო, ქრისტეს მიერ გიხაროდენ ვინადგან სასომან შენმან წმიდამან მონასტერმა იწყენ განათლებად და აღორძინებად, რომელსა შვა ძმათა სიმრავლე დაემკვიდრება მარად მლოცველად ოჯახისა თქვენისა; უმოწყალესო ხელმწიფა, ვინადგან ადრითვე სწყალობდი სასოსა ამას შენსა მონასტერსა, რომელსაც ჰქადაგებენ ნაქმნი თქვენნი. აწ გთხოვთ მონასტერიცა და ჩვენიცა სიგლახაკე ახალსა მოწყალებასა. ესე არს დრო მოწყალებისა მეფის სძალო, ნუ ჩვენთვის უფროსლა სახელისა თქვენისათვის ჰყავ მოწყალება სამლოცველოდ მეფის ძის იოანესდა. და სადღეგრძელოდ ბატონის შვილის გრიგოლისად ცხენისა მოწყალებისა გვევედრებით, ცხენისა ბოძებასა გთხოვთ, რომელიცა ამჟამად ფრიად საჭიროდ გვესახმარება მორეწასა პურისასა კვალადცა გევედრებით ღვთისათვის და არ უძულებულს კაცთ ვიდრე ჩვენი, ანუ ჩვენ მონასტერსა შეწიე არა ჩვენა გთხოვთ მოწყალებასა უფროსლა წმიდა მამა შიო და თქვენი ესე წმიდა მონასტერი ვინადგან თქვენ იცით მოწყალებისა წყაროდ დაუწყევლელად და ხვთის ესახურისა დიდებულისა ოჯახისაგან რტოსა ზედა დავითნისა დამყნილად. ამისთვის პირველ ყოველის თქვენ გთხოვთ მოწყალებასა რომლისათვისაცა გაახელით ბერი მონასტრისა იერო დიაკვანი ძმა ჩვენი სერაპიონ და მქონე ელი მათის უწმიდესობის მოწყალებისა წერილისა, გთხოვთ მუხლ დადგმით ცხენის მოგების მოწყალებასა და სასოებითაცა კეთილ მორწმუნებისაგან თქვენისა მივილოთ მოწყალება, და დავშთებით ჩვენ და მონასტერი ჩვენი საუკუნოდ მლოცველად ქრისტეს მოყვარე გვამისა თქვენისა მეფის ძის იოანესა და საყვარელისა ძისა თქვენისა გრიგოლისა 1802 [1]).

მრავალ კრძალულებით გაგიბედავთ მოხსენებას გლახაკი ბერი წმიდის შიო მღვიმის მონასტრისა და უკრძალულესად მოგახსენებთ მონასტრის ძმათა საჭიროება.

---

რ უ ი ს ი ს ა.

აღწერა რუისის სობოროს ეკკლესიის შეწირულების წერილთა:

ქალაქს სასახლისა და მღებრიშვილის შეწირულობის წერილი ათაბეგის შემოწირულობა სოფლისა ბებნისისა ვასიტაშვილის შეწირულობის სიგელი ოქმებისათ მეფის ვახტანგისაგან სითარხნის სიგელი— მეფის ერეკლეს ოქმი დაფანტულის კაცებისა — ივანე ციციშვილისაგან შეწირულების სიგელი—პაპუნაშვილის დავითის შემოწირულობის სიგელი—გივიაშვილების პირობის მოცემული წიგნი—დავით ბატონი-

---

[2]) შეადარე «ქართლის ცხოვრების» მოთხრობა ამ საგანზედ.

[1]) ეს ქეთევანი უნდა იყვეს პირველი მეუღლე გიორგი მე—XII. იგი იყო თავად ანდრონიკაშვილის ქალი. 246 и др. Бутковъ. Матеріалы для исторіи Кавказа II, 157.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეილისაგან რუისს სამღებროსა შეწირულების სიგელი — ავალიანთა და დიასამიძიანთ ოქმი მამულის (სამს) საძლვრებისა — გიორგი ამილახვარის მამულის შეწირულების სიგელი — შვილის ოქმები მეფის გიორგისა და სოფლის მოწმობა შვილის ოქმი — იასაროვის ოქმი — ჩხიკვაძების შემოწირულობის სიგელი — დეკანოზი ზაქარია მამაცოვი.

---

### რ უ ი ს ი ს ა.

1801 წ. მათის დიდებულობის ბრძანებით საქართველოს მემკვიდრე და მართებელი დავით მოგიწერ მაჩაბელო ზაზავ მერმე სანატრელმა პაპა ჩვენმა და მამამა ჩვენმა თავდებისა მღვთის მშობლისა ყმა და მამული ყოვლად სამღვდელოს ბროკელს იუსტინეს მიაბარა და ჩვენც ამას უბოძეთ იმის ყმასა და მამულზედ თვალყური გეჭიროს და უბრალოდ სხვა ბერი არავინ შეუშვათ, ვისიც უნდა ოქმი მოგიტანოს და ამას უნდა ამსახურო იმის ყმა და მამული მაოტს ქორონიკონს ՉՊՌ ჩვენ გვესმის რომ ამისი ყმანი არ ემორჩილებიან და არც ემსახურებიან თურმე ავად შეეპყარ და ის რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს ისე უნდა ამსახურო: [1]) (ბეჭედი)

---

### ნ ე კ რ ე ს ე ლ ი.

ვასწორებ კითხვას

1767 წ. მკითხაობის მუჩილვა.

ესე წიგნი მოგართვი მე მკითხავმა მარიამამ თქვენ ბატონს ნეკრესელს ასე რომე მკითხავი ვიყავ და ჩვენის ვართაპეტისაგანაც საკანონო დამედო და ხელი ავიღე კითხაობაზე და ეს წიგნიც თქვენთვის მამირთმევია ამას იქით თუ ჩემი მკითხაობა კიდევ მოგხსენდეს ცეცხლში დამწვით. არის ამისი მოწამე სულ ერთობლივ ლომის ციხელნი და აქ ფეიქარი კირაკოზა, მეწისქვილე ევაზა და მე ანტონას დამეწერა და მოწამეც ვარ. დაიწერა აპრილის ႨႠ (11) ქორონიკონს ՉՆԷ (1767).

---

[1]) დავითი თავის თავს მმართებლად უწოდებს, ვიდრე საქართველოს ბედი გადაწყდებოდა რუსეთის სახელმწიფოთ გროვეულად იწოდებოდენ რუის საბჭოში ეპისკოპოზება.

### ნ ე კ რ ე ს ი ს ა.

1775. ეს წიგნი მოგართვი მე გიორგი იმერელმა მერუზიძემ რაჭელმა თქვენ ყოვლად სამღვდელოს დოსითეოს ნეკრესელს. თქვენ მოგეხსენებათ თავის ადგილ ცოლი... გაუშვი, მაგრამ ბოზობის მიზეზით გაუშვი. თუ სხვას მიზეზით გამეშოს და ბოზობის მიზეზით არ გამეშოს, ქრისტეს წინა შენ პასუხი მოგცე. მე არაშელოძე მიქელა იმერელი ვარ ამისი მოწამე, რომე ეს სიტყვა ჭეშმარიტია და ორმა ამისმა მეზობელმა მეჩიტიშვილს, პაპანაცვალსაც ასე შემომფიცეს: მართალია, რომე ბოზობის მიზეზით გაუშვა. მე ანტონა სომეხს დამიწერია და მოწამეც ვარ ამათი სიტყვისა, დაიწერა ღვინობისთვესა, ,Ⴀ' ქორონიკონს ՉԿԳ.

---

შენიშვნა. ეს გუჯარი საყურადღებოა მით, რომ ხდის ფარდას გურმის ცხოვრებას, გვაჩვენებს ზნეობის მდგომარეობას მე-XVIII საუკ. ამ ცნობებს ვერ ვპოულობთ ჩვენს მატიანეში და ამიტომ საზოგადოების სურათის დასახატად ფრიად საინტერესონი არიან ამ გვარი ხელთნაწერნი. სჩანს, ცოლის ღალატი მეტად დიდი ჩირქი იყო ჩვენი ხალხისთვის, რომ იგი მიზეზად ხდება ცოლქმართა გასაშორებლად. ამასვე გვამტკიცებს კანონები მეფე ვახტანგ VI. მაშასადამე ეს გუჯარი თანხმად იურიდიული ნაშთისა სიმართლით გვიხატავს წმინდა მხარეს ჩვენი ხალხისას.

ნეკრესელი დოსითეოს კარგად არის ცნობილი ჩვენს ისტორიაში. რამდენიმე გუჯარში იგი იხსენიება. კათოლიკოზი იოსები 1762 წ. უგზავნის მას დადგენებას შესახებ ეკლესიის მოწყობისა და სამღვდელოების მოქმედებისა. (ნახე დ. ფურცელაძე. Церковные гуджари, 40).

ჩვენ მიერ დაბეჭდილი გუჯარი არ იპოება დ. ფურცელაძის წიგნში.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

**დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსაახლებლად და წმ. მოწამეთა დავით და კონსტანტინეს კუბოს მოსაშოებლად** ჩვენ მივიღეთ კაცხის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის გიორგი ანთაძისაგან 4 მანეთი და ათი შაური. ეს ფულები შეუწირავსთ შემდეგ პირთ: მალაქია მაჭავარიანს 40 კ., ზაზა ავალიშვილს 40 კ., დავით ბერიძეს 60 კ., დარისპან ჯიმშიაშვილს 40 კ., გიორგი კვანტრეშვილს 40 კ., უფლისა კვანტრეშვილს 30 კ., პაატა კვარაკვახიძეს 30 კ., დიმიტრი ოქროჭელიძეს 30 კ., ივანე ოქროჭელიძეს 30 კ. ლუარსაბ ოქროჭელიძეს 30 კ., როსტომ ჩაჩანიძეს 20 კ., ალექსი მდინარაძეს 30 კ. და გიორგი დანელიას 30 კ.—

***

**სოფლის ლანჩხის** ეკკლესიის კრებული გულითად მადლობას სწირავს ამავე სოფლის მცხოვრებთ გლეხთ დიონოს გიორგის ძეს თხილაძეს და გიგო კაცეის ძეს ლაღიძეს, რომელთაც შეუწირავსთ ზემოდ აღნიშნული ეკკლესიისათვის ერთი სანაწილე, ორი შანდალი ტრაპეზზედ დასადგამი, ერთი გარდამოხსნა და ერთი წყვილი ბაირახი, ღირებულნი 45 მანეთად.

***

ამას წინედ იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელთან მივიდა ერთი 8 წლის ვაჟი და მოახსენა მათ მეუფებას: «მე ვარ ერთი უპატრონო ობოლი და ძლიერ ღარიბი, დღემდის მოუნათლავად ვარ დარჩენილი და გთხოვთ მიპატრონოთ, მომნათლოთ და გამომზარდოთ. ყოვლად სამღვდელო გააკვირვა ამ პატარა ბავშვის თხოვნამ და, როდესაც მათი მეუფება დარწმუნდა, რომ ბავშვის განცხადება ყოვლადფერი მართალი იყო, ძლიერ შეებრალა იგი, მონათლა და მიიღო აღსაზრდელად.

***

თბილისის სამსაჯულო პალატის უფროსმა ბ. განჩაროვმა ამას წინედ განიძრახა მცირე წლოვან დამნაშავე ყმაწვილების თავ შესაფარი სახლის აღშენება თბილისში. ამ საქმისთვის მან რამოდენიმე ათასი მანეთი კიდეც შეჰკრიბა საზოგადოებაში. ამას წინედ გაზ. «კავკაზში» ჩვენ წავიკითხეთ, რომ იმერეთის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო გაბრიელს მიუწერია უ. გონჩაროვისათვის და შეუთვლია, რომ თუ მაგ ხსენებული სახლის აღშენება დაწყებული იქნება ამ მოკლე დროში, მაშინ ათას მანეთს შემოსწირავ მაგ კეთილს საქმესო.

***

მათ იმპერატორებითი უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს 10,000 მანეთი შეუწირავს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისათვის, რომ ამ საზოგადოებამ ეს ფული მოიხმაროს ისტორიული ძველი შესანიშნავი ნაშთების გამოკვლევისათვის კავკასიაში.

***

უმაღლესი მთავრობისაგან დიდ ძალი ფული არის გადადებული, რომ ქუთაისის გუბერნიაში უწამლონ ვენახებს და რაიმე გზით მოსპონ ფილოქსერა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დანიშნული ფულები არ იხარჯება, როგორც სასურველია. მართალია, გაზ. «კავკაზში» დაბეჭდილი კორრესპონდენციებისაგან სჩანს, ვითომც ვენახები ყველგან იყოს გასინჯული, მაგრამ ნამდვილად კი, არც მეათედია გასინჯული და დათვალიერებული. სასურველია, რომ ამდენი ფულის ხარჯვა ჯეროვანს და ზედ მიწევნით საქმის მცოდნე კაცებს მიენდოს, თუ ეს შესაძლებელია ეხლანდელს დროში. დღეს თუ დანახარჯ ფულების შესახებ წარდგენილ იქმნა კვიტანციები მამასახლისებისაგან და ბოქაულებისაგან დამოწმებულნი, მეტი ვითომც არასფერი საჭირო არ იყოს. სამოცდათექვსმეტში, რუს-ოსმალოს ომის წინედ ერთი სომხის გენერალი მოვიდა დ. ყვირილაში და მოსთხოვა მაშინდელს მაზრის უფროსს მისგან წარდგენილი ქაღალდის დამოწმება. ამ ქაღალდში იყო ნათქვამი, რომ გენერალი ყვირილიდამ ორმოც ჯერ გავიდა სხვა და სხვა სოფლებში ადგილების დასათვალიერებლად. ამ გენერალმა გაიარა 40 ვერსი და მოწმობაში კი 1600 ვერსი ჩაეწერა გავლილად. რამდენ „პრაგონს“ მიიღებდა იგი, ეს მკითხველმა გამოიცნოს.

***

ბ. ზაქარია ჭიჭინაძისაგან ჩვენ მივიღეთ სამი პატარა წიგნაკი, რომელნიც მას გამოუცია თავის ხარჯით. 1) ნ. ბარათაშვილის **ლექსები**; 2) **ქართველი ქალები** და 3) **რამდენიმე ლექსი ცახელისა**. წიგნაკები სუფთად არიან გამოცემულნი და ფასებიც მცირე ადევსთ. პირველი წიგნაკი ღირს 30 კ., მეორე—10 კ. და მესამე—15 კ. ამ წიგნების დაბარება შეიძლება თვით გამომცემლის წიგნის მაღაზიიდგან, რომელიც ქ. თბილისშია.

***

მღვდლის მ. ალექსი არდიშვილისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

„ამას წინედ ერთ ჩემს სამრევლოთაგანს ეპოვნა გზაში ერთი პატარა მათარა—ბოხჩა, რომელიც მე მომიტანა, ამ ბოხჩაში აღმოჩნდა ზოგიერთი საეკკლესიო-სამღვდელო ნივთები, რომელნიც მე შენახული მაქვს ჩემდამო რწმუნებულს ზედ-მიწერილს ს. თვრინის მაცხოვრის ამაღლების ეკკლესიაში. ვაცხადებ რა ამას, ვსთხოვ დამკარგველს, მოვიდეს და მიიღოს ხსენებულნი ნივთნი».

## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზედ.

### როგორი პატივისცემით უნდა ვიცავდეთ ჩვენ მამა-პაპათა სასაფლაო ადგილებს? *)

რაზე ფიქრობთ, ძმანო ქრისტიანენო, როცა თქვენი წინაპრების სასაფლაო ადგილებზე გაივლით? მე ყოველთვის ამ ადგილებზე გავლის დროს მიფიქრია და ვფიქრობ კიდეც მასზედ, თუ როგორ გამოასვენებენ ამავე გზაზედ ჩემს უსულო სხეულს; მასთან მე მაგონდება, რომ ამ სასაფლაოზე დიდი ხნიდგან მზათ არის ადგილი ჩემი საფლავისთვისაც, რომელშიაც ჩაასვენებენ ჩემს კუბოს ჩემი უსულო გვამით; ვფიქრობ, რომ ამ სასაფლაოზე დარჩება ჩემი გვამი ქრისტეს მეორეთ მოსვლის დღემდის, ხოლო მაშინ სხვებთან ერთად აღვსდგები საფლავისაგან, რათა წარვსდგე უფლის საშინელსა და სამსჯავროსა წინაშე. უნდა გამოტეხილი ვსთქვა, რომ ყოველივე ეს წარმოდგენა ჩემში ბადავდა მწუხარებას. მაგრამ მე ის კი არ მაწუხებდა, რომ ადრე თუ გვიან უნდა მოვკვდე და დავიმარხო მიწაში; ეს განა ვინ არ იცის? განა სამწუხაროა ვისთვისმე თავის სამშობლო ქვეყანაში და თავის მამასთან დაბრუნება? მე მხოლოდ ის მაწუხებდა, რომ სასაფლაოს გზა ასე ძნელი სავალია; წარმოვიდგენ ხოლმე იმასაც, რომ ჩემი კუბოს მატარებლების გულში უნებლიედ გაიღვიძებს მწუხარება და ნაცვლად ლოცვისა და კეთილის სურვილისა შეიძლება, ჩემზე წარმოსთქვან საყვედური და უკმაყოფილება, რადგან ეს სასაფლაო ადგილი ამისთან სამწუხარო და საზარელ მდგომარეობაშია. შეიძლება ჩემი საფლავიც ისე დავიწყებული შეიქნეს, როგორც სხვა სასაფლაოები დავიწყებული და მიყრუებული, რაიცა არ შეჰფერის ქრისტიან კაცის სასაფლაო ადგილს. ნუ ასეთი თუ ფიქრი და წარმოდგენა მარტო მე მებადება თავში? ნუ თუ რომელიმე თქვენგანს, ძმანო ჩემნო, არ მოსვლია თავში ასეთი ფიქრი, როცა ხედავთ, რომ ის ადგილი, სადაც განისვენებენ გარდაცვალებულნი მშობელნი და ნათესავნი თქვენი, ისე უპატიურად არის მიტოვებული? ესლა ორიოდე სიტყვა უნდა გითხრათ, თუ როგორი სიწმინდით და პატივისცემით ეპყრობოდნენ სასაფლაო ადგილებს ძველს დროში.

ძველს დროში ყოველი ხალხი სარწმუნოების გაურჩევლად დიდ პატივსაცემდა თავიანთ მამა-პაპათა სასაფლაო ადგილს. არაფერს ვიტყვი წმიდა მამებზედ, რომელნიც სცხოვრებდენ და სასოებით აღესრულდენ საუკუნო ცხოვრებისათვის, არას ვიტყვი ძველთვე ებრაელებზე, რომელნიც დიდ პატივსსცემდენ მშობლების სასაფლაო ადგილებს. ძველ დროში თვით წარმართნი არავითარ ღონეს არ შურავდნენ, ოღონდ თავიანთი მშობლების სასაფლაო ადგილები შესაფერათ შეემკოთ. ისინი უფრო ზრუნავდენ სასაფლაოებზე, ვინემ თავის საცხოვრებელ სადგომებზე. დაუკვირდით, თუ როგორი კეთილ-მოწიწებით მიესწრაფებიან იუდიანნი თავის მამების გვამის თაყვანის საცემლად! მიაქციეთ ყურადღება მაჰმადიანთ, რომელნიც შესაფერად ამკობენ თავიანთი წინაპრების სასაფლაო ადგილებს. თვით ველური ხალხიც კი ცდილობს შემოღობოს თავის მშობლების სასაფლაო ადგილები და ამით დაიცვას ისინი წესიერად. ასეთივე პატივით ეპყრობოდენ თავიანთ მამა-პაპათა სასაფლაო ადგილებს პირველი ქრისტიანენიც. მათ ეს სასაფლაოები წმიდა ადგილებად მიაჩნდათ. ამიტომ იგინი უმეტესად სასაფლაოებზე იკრიბებოდენ საზოგადო ღვთის-მსახურების შესასრულებლად; ამ სასაფლაო ადგილებზე იყო ხოლმე აგებული სამსხვერპლონი უსისხლო მსხვერპლის შესაწირავად ცოცხალთა და მიცვალებულთა მოსახსენებლად; ამ გვარ ადგილებზე აშენებდენ ტაძრებსაც. წმიდა ეკკლესიამ მიიღო ქრისტიანე სასაფლაო ადგილები თავის განსაკუთრებულ მფარველობასა ქვეშე, რათა იგინი არ გაუპატიურებულიყვნენ კაცთაგან. ქრისტეს ეკკლესია ითხოვს, რათა პატივით ვეპყრობოდეთ ჩვენ მამა-პაპათა სასაფლაოებს. ჩვენ ვალდებულნი ვართ წმიდა ეკკლესიის დადგენილობათა ძალით, რომ სასაფლაო ადგილები შემოვღობოთ და რიგიანად დავიცვათ, თუ არ გვინდა დავიმსახუროთ ის წყევა, რომელიც ხვედრია ყველა

*) ეს სიტყვა ნათქვამია ხერსონის და ოდესის მთავარეპისკოპოსის დიმიტრისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირთათვის, რომელნიც უპატიურად ეპყრობიან სასაფლაო ადგილებს.

ეხლა განვიხილოთ, თუ რა არის სასაფლაო? სასაფლაო არის ადგილი, სადაც განისვენებენ ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენი ძმანი და ნათესავნი, ჩვენი მეგობრები და კეთილის-მყოფელნი. ბუნებრივი გრძნობა, ქრისტიანობრივი სიყვარული, სჯული ღვთისა და სინდისიც მოითხოვს პატივსა ვსცემდეთ როგორც მათ, ისე მათ განსასვენებელ ადგილებს; უკეთუ მათი დროებით საცხოვრებელი ადგილები ძვირფასნი არიან ჩვენთვის, მით უმეტეს სიკვდილის შემდეგ უფრო უძვირფასესი არ უნდა იყოს მათი საუკუნო განსასვენებელი ადგილები? შენ არა ხარ ის პატივცემული შვილი, რომელიც აქ რომ მამა შენს ასაფლავებდი, სიყვარულობით ეხვევოდი იმის საფლავს, ეურდნობოდი თვით მიწას და ამბობდი, რომ შენ არ დაივიწყებდი იმ ადგილს? მაშინ შენ მართალს ამბობდი, უთუოდ წმიდა იყო შენთვის ის ადგილი, ვინაიდგან ფარავს იმას, ვინც შენ დაგბადა ქვეყანაზედ, ვინც შენ აღგზარდა საცხოვრებლად, ვინც შენ დაგიტოვა ყველაფერი, რაისაც მქონებელი იყო იგი ქვეყანაზედ. მაგრამ შენ მოშორდი თუ არა სასაფლაოს, მაშინვე დაგავიწყდა შენგან არა დასავიწყებელი საფლავი და სრულიად უყურადღებას აღარ აქცევ, რომ წმიდათ დაიცო გვამი მისი. შენ ის ნაზი მეუღლე არა ხარ, აქ რომ შენს საყვარელს მეუღლეს ასაფლავებდი, მწარედ სტიროდი, აფრქვევდი მის საფლავს ცრემლებს, უწოდებდი მას სიყვარულობის მსხვერპლად, შენთვის მუდამ საყვარელ მტვერად? შენ მაშინ ლაპარაკობდი მართალს; უთუოდ შენთვის საყვარელი უნდა იყოს ეს ადგილი, ვინაიდგან მას ქვეშ შენ დაასაფლავე თითქმის ნახევარი შენი სიცოცხლე. გარნა, როგორც კი მოშორდი სასაფლაოს, დაგავიწყდა შენი სიტყვები და გულ-გრილად უცქერი გაუპატიურებულს შენი მეუღლის საფლავს! შენ არა ხარ სამადლოთ აღზრდილი ობოლი, აქ რომ შენ კეთილის მომქმედს-ასაფლავებდი, სტიროდი მწარედ და ამბობდი, რომ შენ ვითომც ერთად მასთანვე ასაფლავებ ყოველივე შენს იმედს? განა რა შეემთხვა ამ შენგან არა დასავიწყებელ ადგილს? შენ ველარც კი ცნობულობ შენთვის ძვირფას საფლავს სხვა საფლავებთა შორის და უყურებ გულგრილად, თუ როგორ უწესოდ ითქირება იგი სხვა-და-სხვა ცხოველთაგან. ერთის სიტყვით, თითოეულმა ჩვენგანმა უეჭველად აქ დაასაფლავა რომელიმე ნაწილი თავისი გულისა.

რა არის ქრისტიანეთა სასაფლაო ადგილი? იგი არის ყანა ღვთისა, სადაც ითესებიან ჩვენი სხეულნი მომავალი აღდგომისათვის. ჩვენ ხშირად ვამბობთ: მიცვალებულებისათვის სულ ერთია, სადაც უნდა იყვნენ დასაფლავებულნი, დაცული იქნება თუ უპატიურად მათი უგრძნობელი გვამები ვერას იგრძნობენ. არ ვიცი, სულ ერთია თუ არა მიცვალებულთათვის, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ცოცხლებისათვის კი სულ ერთი არ არის გულგრილად უყურონ მიცვალებულთა სასაფლაოებს. მართალია, რომ ყოვლად შემძლებელი ღმერთი მოუწოდებს აღდგომისადმი ყოველი მხრით გარდაცვალებულებს, რომ მიწა და წყალი მისცემენ მათდამი მიცვალებულებს, მხეცებიც და და თევზებიც მიაქცევენ მათ მიერ შთანთქმულთა, მაგრამ ჩვენ კი უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანეთა სასაფლაოები არიან სახელდობ წმ. საუნჯე ჩვენი მომავალი აღდგომისა. გარნა რა იმარხება აქ? ქრისტიანე კაცის გვამი ანუ სხეული,—ის სხეული, რომელიც განბანილია წმიდა ნათლისღების წყლით, ცხებულია წმ. მირონით სულისა მიერ წმიდისა და რომელიც იზრდებოდა წმ. იესო ქრისტეს ხორცითა და სისხლით,—ის სხეული, რომელსაც წმიდა მოციქული პავლე უწოდებს ტაძრად სულისა წმიდისა,—ის სხეული, რომელსაც იგივე მოციქული უწოდებს ქრისტეს გვამის ნაწილად. დაშთებოდა თუ არა დაუსჯელად ის, ვინც შეაგინებდა იესო ქრისტეს გვამს, როდესაც იგი იდვა საფლავში ჯვრიდგან ჩამოღებული, რადგან იგი იყო უსულო, ვითარცა ყოველივე მიცვალებულის გვამი? რასაკვირველია დაუსჯელად არ დარჩება ის, ვინც შეურაცხჰყოფს ქრისტიანე კაცის გვამს როგორც სიცოცხლის ისე სიკვდილის დროს. რატომ ვასაფლავებთ ჩვენ ჩვენს გარდაცვალებულთა სხეულს? მომავალი აღდგომისათვის დიდებასა შინა: «დაეთესვის ხრწნილებით და აღსდგების უხრწნელებით; დაეთესვის გინებით და აღსდგების დიდებით; დაეთესვის უძლურებით და აღსდგების ძლიერებით; დაეთესვის ხორცი მშვენიერი და აღსდგების ხორცი სულიერი». (1 კორ. თავი 15 მუხ. 42, 43, 44). ხედავ როგორი დაუფასებელი ზეციერი ნაყოფის თესლია აქ დათესილი? შენი შრომით მოპოებული და დათესილი რომელიმე ძვირფასი და იშვიათი ნაყოფი რომ დაგითელოს ვინმე, განა დაუსჯელად დასტოვებ მას? ცხადია, რომ არა. როგორ ჰფიქრობ, განა უფალი იესო ქრისტე კი გულგრილად მოეპყრობა და დაუტევებს დაუსჯელად აქ დათესილი თესლის გამაუპატიურებელს, იმ თესლისას, რომელიცა მოსყიდულია არა ვერცხლითა და ოქროთი, არამედ

ბიბლიოთეკა

მისის პატიოსანი სისხლითა, რომლისაგანაც აღორძინდება და აჴვავდება ოდესმე უდაბნოება, საუკუნო ცხოვრება და ღვთივ-მიმსგავსებული დიდება? ამიტომ დავადგამთ თუ არა ფეხს ქრისტიანეთა სასაფლაოზე, მაშინვე უნდა მოვიგონოთ სიტყვა ღვთისა, რომელიც მან რქვა მოსეს: განიძვრე ხამლი შენი ფერხთაგან შენთა, რამეთუ ადგილი ეგე, რომელზედაც შენ დგახარ, წმიდა არს».

რა არის ქრისტიანეთა სასაფლაო? იგი არის წმიდათა განსასვენებელი ადგილი. ყოველი ქრისტიანე კაცი იწოდება წმიდად, როგორც განათლებული მადლითა ღვთისათა და ეს მიცვალებულთა განსასვენებელი ადგილებიც წმიდათ უნდა იყოს დაცული ყოველგვარი უპატიურებისაგან.

ხშირად ვიტყვით ხოლმე ჩვენ, რომ მიცვალებულნი ვერ ხედვენ, არ ესმისთ და არც გრძნობენ. მაგრამ ვსტყუით, როცა ასე ვსჯით. ღვთის წინაშე ცოცხალნი არიან ყველა აქ დასაფლავებულნი მამანი და ძმანი ჩვენნი. სად არიან იგინი ეხლა? იქ, სადაც შეიწირება მათთვის უსისხლო მსხვერპლი, იქ, სადაც მდგომარეობენ მთავარ-ანგელოზნი და ანგელოზნი და სადაც ერთად მათთანვე მდგომარეობენ გარდაცვალებულნი ძმანი ჩვენი, —პირველნი გალობით მადლობელნი და მეორენი შესაწყნარებელი ლოცვებით მადიდებელნი.

მე შევმწუხდები ხოლმე, ძმანო ჩემნო, როდესაც წარმოვიდგენ, რომ მათი სულიერი თვალი მოქცეულია ჩვენდამო, ჩემზედ და თქვენ, მსმენელებზედაც, რომ მათი ყურადღება მიქცეულია ეხლა მასზედ, თუ როგორ იმოქმედებს ჩემი სიტყვები თქვენს გულში: აღიძვრება თქვენში სურვილი წმიდათ დაიცოთ თქვენი მამა-პაპების სასაფლაო ადგილები, თუ არა? ანუ თუ დარჩება იგი ისევე უყურადღებოთ? რითი მოვიხდით ბოდიშს და გავიმართლებთ თავს მათ წინაშე? საშუალებათა უმეცრობით? როგორ შეგვიძლია მოვატყუოთ იგინი? განა ვერ ხედავენ, თუ რაოდენს ვხარჯავთ ჩვენ უბრალო და უსარგებლო ნივთებში? განა არ იციან მათ, თუ როგორი გულმოდგინებით ვინახავთ და ვამკობთ ამა წუთი-სოფლის საცხოვრებელ ადგილებს? გარნა არ შეუძლიათ მათ გვითხრან ჩვენ: ყველაფერი, რაც რომ გაგვაჩნდა ჩვენ სიცოცხლეში, დაგიტოვეთ თქვენ, არასფერი არ წაგვიღია თან და არც ეხლა გთხოვთ რამეს. მხოლოდ ერთს გევედრებით თქვენ, ნუ შეაბილწებთ ჩვენს გვამებს, ნუ მისცემთ დავიწყებას ამ ჩვენ განსასვენებელ სასაფლაო ადგილებს და ნუ გააუპატიურებთ მათ, განაიდგან იგი არის თქვენი განსასვენებელი ადგილიც. ღვთის ტაძრის გარდა, შეიძლება სხვა გარეშე ადგილებში სრულიადაც არ ყოფილიყოთ როდესმე, გარნა აქ ამ ადგილზედ ადრე თუ გვიან უსათუოდ მოგიტანებენ და დაგასაფლავებენ მომავალი ჩვენი აღდგომისათვის დიდებასა შინა.

(რუსულიდგან).

მღვ. რ. გორგაძე.

# განცხადება.

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან გამოცემული

**დარიგება სადმრთო სჯულის სწავლებაზედ,**

რომელიც უწმიდესი სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო სადმრთო სჯულისა საეკკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში და მასთანვე ყველა მის მიერ გამოცემული წიგნები იყიდებიან: **თბილისში**, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მაღაზიებში, **ქუთაისში:** «მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მაღაზიებში, **ლანჩხუთში:** ნიკო კილაძესთან, **ჟგირილაში**—თვით გამომცემელთან.

«მწყემსი»-ს რედაქციაში შეიძლება ყიდვა წარსული წლების რამდენიმე მთელი «მწყემსი»-ს და «Пастырь»-ის გამოცემათა. თითეული მათგანი ღირს სამ მანეთად მთელი წლისა.

შინაარსი: «სასულიერო მახარებელი საქართველოსი». —სასულიერო გამომძიებელნი.—„მწყემსი"-ს კორესპონდენცია სოფ. ღორეშიდამ.—რუსეთის მართლმადიდებელი ტაძარი ვენაში.—ექვთიმე ხელაძის ანდრეზული წერილისა გამო.—მღვდლის საიდუმლო.—ლექსი.—საისტორიო მასალა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—როგორი პატივისცემით უნდა ვიცავდეთ ჩვენ მამა-პაპათა სასაფლაო ადგილებს.—განცხადებანი

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 14 Марта 1891 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ домѣ бр.Ханановыхъ на Нѣмецкой ул.